

„ჯეოსერის“, „სიდექნეტისა“ და „მაგთის“ აბონენტთა ნაწილისთვის მომსახურების ტარიფები იზრდება



„ჯეოსერის“, „სიდექნეტისა“ და „მაგთის“ აბონენტთა ნაწილისთვის მომსახურების ტარიფები იზრდება. „მაგთის“ შემთხვევაში განახლებული ტარიფები 18 თებერვლიდან ამოქმედდება, „ჯეოსერისა“ და „სიდექნეტის“

აბონენტებისთვის კი პირველი მარტიდან.

კავშირგაბმულობის კომპანიებში აცხადებენ, რომ მომხმარებლებს გაუმჯობესებულ მომსახურებას და ინტერნეტის გაზრდილ მოცულობებს სთავაზობენ.

„ჯეოსერის“ აბონენტებისთვის ერთ-ერთი სიახლე მობილური ნომრის მომსახურების ყოველთვიური საფასურია. 20 თეთრი თითო აბონენტს ყოველი თვის პირველ რიცხვში ჩამოეჭრება. ამასთან, 5-დარიანი პაკეტი „მეტი S“-ის ღირებულება შვიდი დარი ხდება, თუმცა პაკეტში 100 MB ინტერნეტის ნაცვრად 300 MB, 100 SMS-ის ნაცვრად კი 300 SMS იქნება. პაკეტი „მეტი M“, რომელიც აქამდე 10 დარი ღირდა, 15 დარი ხდება (1 GB ინტერნეტით და უღირსი SMS-ებით).

ამასთან, კომპანიაში აცხადებენ, რომ ამცირებენ მობილური ინტერნეტის ერთი მეგაბაიტის საშუალო ფასს, ასევე პაკეტებში შემავალი ინტერნეტის მოცულობის ამოწურვის შემდეგ მეგაბაიტის ფასი მცირდება 15 თეთრიდან 10 თეთრამდე.

„სიდექნეტის“ ოპტიკური ინტერნეტის მინიმალური, 26-დარიანი პაკეტი უქმდება. შესაბამისად, აბონენტებს ინტერნეტში მინიმუმ 30 დარის

გადახდა მოუწევთ (პაკეტი „სტარტი +“, 20მბ/წმ).

„მაგთის“ აბონენტებისთვის პაკეტი „მარტივის“ ღირებულება 25 დარის ნაცვლად 30 დარი იქნება (მოზიდური ინტერნეტის მოცულობა იზრდება 1.5 GB-მდე). მცირდება მოზიდური ინტერნეტის სტანდარტული ტარიფი (1 MB – 70 თეთრის ნაცვლად 10 თეთრი).

იცვლება **„მაგთიკომის“** ინტერნეტპაკეტების პირობები. თუ აქამდე აბონენტებს 500 MB ინტერნეტის შეძენა სამ დარად შეეძლოთ, ახლა მინიმალური პაკეტია 1 GB – ხუთ დარად.

იზრდება **„მაგთის“** ოპტიკური ინტერნეტის მინიმალური პაკეტის ფასიც და 27 დარის ნაცვლად 30 დარი ხდება (სირქარე ორმაგდება).